საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 450 2018 წლის 4 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში გრანტის მიმღები ორგანოს განსაზღვრის შესახებ

1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით (ინსტიტუციური მხარდაჭერა და შესაძლებლობების განვითარება „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში) გათვალისწინებული გრანტის მიმღებ ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

2. მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ხელი მოაწეროს

საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ), გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“ შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებას (ინსტიტუციური მხარდაჭერა და შესაძლებლობების განვითარება „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის“ ფარგლებში).

მამუკა ბახტაძე